

## შპს ოკეანე

### ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

25 მაისი 2022

თბილისი

## სარჩევი

|                                                                        |    |
|------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                               | 2  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....              | 3  |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....                                   | 4  |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....                            | 5  |
| ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....  | 6  |
| 1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია .....                      | 6  |
| 2. შედგენის საფუძველი .....                                            | 6  |
| 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები .....                 | 11 |
| 4. ძირითადი საშუალებები .....                                          | 17 |
| 5. აქტივების გამოყენების უფლება .....                                  | 18 |
| 6. არამატერიალური აქტივები .....                                       | 19 |
| 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....                              | 19 |
| 8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....                         | 19 |
| 9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე .....                             | 20 |
| 10. კაპიტალი და რეზერვები.....                                         | 20 |
| 11. სესხები .....                                                      | 20 |
| 12. იჯარა.....                                                         | 21 |
| 13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება .....                      | 21 |
| 14. ამონაგები .....                                                    | 22 |
| 15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....                         | 22 |
| 16. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები .....                              | 22 |
| 17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....                               | 22 |
| 18. ფინანსური ხარჯები.....                                             | 23 |
| 19. შემდგომი მოვლენები .....                                           | 23 |
| 20. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები .....             | 23 |
| 21. ფინანსური ინსტრუმენტები .....                                      | 23 |
| 22. ფინანსური რისკის მართვა.....                                       | 24 |
| 23. კაპიტალის რისკის მართვა.....                                       | 26 |
| 24. გაუთვალისწინებელი გარემოებები .....                                | 27 |
| 25. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია... | 28 |
| 26. დაკავშირებული მხარეები .....                                       | 28 |
| 27. საკონტროლო ურთიერთობები .....                                      | 28 |

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

|                                               | შენიშვნა | 31.12.2021   | 31.12.2020   |
|-----------------------------------------------|----------|--------------|--------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |              |              |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |              |              |
| ძირითადი საშუალებები                          | 4        | 943          | 1,100        |
| აქტივების გამოყენების უფლება                  | 5        | 7            | 7            |
| არამატერიალური აქტივები                       | 6        | 460          | 508          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>1,410</b> | <b>1,615</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                  |          |              |              |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები             | 7        | 1,543        | 1,700        |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება        | 8        | 2,065        | 1,760        |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 9        | 5            | 10           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>              |          | <b>3,613</b> | <b>3,470</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>5,023</b> | <b>5,085</b> |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>     |          |              |              |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |              |              |
| საწესდებო კაპიტალი                            | 10       | 307          | 307          |
| დაუფარავი ზარალი                              |          | (385)        | (452)        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |          | <b>(78)</b>  | <b>(145)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |              |              |
| გრძელვადიანი სესხები                          | 11       | 129          | 821          |
| გრძელვადიანი იჯარა                            | 12       | 283          | 402          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>412</b>   | <b>1,223</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |          |              |              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება       | 13       | 855          | 597          |
| მოკლევადიანი სესხები                          | 11       | 3,640        | 3,248        |
| გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი          | 12       | 194          | 162          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>4,689</b> | <b>4,007</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>5,023</b> | <b>5,085</b> |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისი.

დირექტორი:  
დავით გიგია

ფინანსური მენეჯერი:  
კოტე ღვინიაძე

შპს ოკეანე  
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

|                                               | შენიშვნა | 31.12.2021   | 31.12.2020   |
|-----------------------------------------------|----------|--------------|--------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |              |              |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |              |              |
| ძირითადი საშუალებები                          | 4        | 943          | 1,100        |
| აქტივების გამოყენების უფლება                  | 5        | 7            | 7            |
| არამატერიალური აქტივები                       | 6        | 460          | 508          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>1,410</b> | <b>1,615</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                  |          |              |              |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები             | 7        | 1,543        | 1,700        |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება        | 8        | 2,065        | 1,760        |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 9        | 5            | 10           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>              |          | <b>3,613</b> | <b>3,470</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>5,023</b> | <b>5,085</b> |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>     |          |              |              |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |              |              |
| საწესდებო კაპიტალი                            | 10       | 307          | 307          |
| დაუფარავი ზარალი                              |          | (385)        | (452)        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |          | <b>(78)</b>  | <b>(145)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |              |              |
| გრძელვადიანი სესხები                          | 11       | 129          | 821          |
| გრძელვადიანი იჯარა                            | 12       | 283          | 402          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>412</b>   | <b>1,223</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |          |              |              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება       | 13       | 855          | 597          |
| მოკლევადიანი სესხები                          | 11       | 3,640        | 3,248        |
| გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი          | 12       | 194          | 162          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>4,689</b> | <b>4,007</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>5,023</b> | <b>5,085</b> |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისი.

დირექტორი:  
დავით გიგაია

ფინანსური მენეჯერი:  
კოტე ღვინიაშვილი

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

|                                       | შენიშვნა | 31.12.2021<br>დასრულებული<br>წლისთვის | 31.12.2020<br>დასრულებული<br>წლისთვის |
|---------------------------------------|----------|---------------------------------------|---------------------------------------|
| ამონაგები                             | 14       | 9,728                                 | 9,461                                 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 15       | (7,795)                               | (7,947)                               |
| <b>საერთო მოგება</b>                  |          | <b>1,933</b>                          | <b>1,514</b>                          |
| გაყიდვების და მიწოდების ხარჯები       | 16       | (275)                                 | (218)                                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი       | 17       | (1,177)                               | (1,237)                               |
| ფინანსური ხარჯი                       | 18       | (565)                                 | (481)                                 |
| მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან      |          | 108                                   | (406)                                 |
| სხვა მოგება (ნეტო)                    |          | 43                                    | 3                                     |
| <b>მიმდინარე წლის მოგება</b>          |          | <b>67</b>                             | <b>(825)</b>                          |
| <b>სრული შემოსავალი / (ხარჯი)</b>     |          | <b>67</b>                             | <b>(825)</b>                          |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისი.

დირექტორი:  
 დავით გიგაია

ფინანსური მენეჯერი:  
 კოტე ღვინიაძე

შპს ოკეანე

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

|                                       | შენიშვნა | 31.12.2021<br>დასრულებული<br>წლისთვის | 31.12.2020<br>დასრულებული<br>წლისთვის |
|---------------------------------------|----------|---------------------------------------|---------------------------------------|
| ამონაგები                             | 14       | 9,728                                 | 9,461                                 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 15       | (7,795)                               | (7,947)                               |
| <b>საერთო მოგება</b>                  |          | <b>1,933</b>                          | <b>1,514</b>                          |
| გაყიდვების და მიწოდების ხარჯები       | 16       | (275)                                 | (218)                                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი       | 17       | (1,177)                               | (1,237)                               |
| ფინანსური ხარჯი                       | 18       | (565)                                 | (481)                                 |
| მოგება/ზარალი საკუთრივ სხვაობიდან     |          | 108                                   | (406)                                 |
| სხვა მოგება (ნეტო)                    |          | 43                                    | 3                                     |
| <b>მიმდინარე წლის მოგება</b>          |          | <b>67</b>                             | <b>(825)</b>                          |
| <b>სრული შემოსავალი / (ხარჯი)</b>     |          | <b>67</b>                             | <b>(825)</b>                          |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და  
ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მარტს

დირექტორი:  
დავით გიგია

ფინანსური მენეჯერი:  
კოტე ღვინიაშვილი

## კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | დაუფარავი ზარალი | ჯამი  |
|------------------------------|-----------------------|------------------|-------|
| ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს    | 307                   | 373              | 680   |
| 2020 წლის ზარალი             | -                     | (825)            | (825) |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს | 307                   | (452)            | (145) |
| 2021 წლის მოგება             | -                     | 67               | 67    |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს | 307                   | (385)            | (78)  |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისი.

დირექტორი:

დავით გიგაია

ფინანსური მენეჯერი:

კოტე ღვინიაძე

შპს ოკეანე

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | დაუფარავი ზარალი | ჯამი  |
|------------------------------|-----------------------|------------------|-------|
| ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს    | 307                   | 373              | 680   |
| 2020 წლის ზარალი             | -                     | (825)            | (825) |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს | 307                   | (452)            | (145) |
| 2021 წლის მოგება             | -                     | 67               | 67    |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს | 307                   | (385)            | (78)  |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინააღმდეგარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და  
ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

დირექტორი:  
დავით გიგაია

ფინანსური მენეჯერი:  
კოტე ღვინიაძე

გ. გვინიაძე

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

|                                                              | შენიშვნა | 2021 წელი    | 2020 წელი    |
|--------------------------------------------------------------|----------|--------------|--------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>              |          |              |              |
| წლის მოგება/ ზარალი                                          |          | 67           | (825)        |
| <b>კორექტირებები:</b>                                        |          |              |              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                         |          | 375          | 393          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი               | 8        | 16           | 97           |
| ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება            |          | (1)          | (34)         |
| ფინანსური ხარჯი                                              | 18       | 565          | 493          |
| (მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან                       |          | (108)        | 406          |
| <b>საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</b>    |          | <b>914</b>   | <b>530</b>   |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში             | 8        | (305)        | 454          |
| ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში                      | 6        | 157          | 706          |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში            | 13       | 276          | (317)        |
| <b>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                         |          | <b>1,042</b> | <b>1,373</b> |
| გადახდილი პროცენტი                                           |          | (563)        | (484)        |
| <b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                  |          | <b>479</b>   | <b>889</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>            |          |              |              |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                 |          | (14)         | (170)        |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული               |          | 4            | 78           |
| <b>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში</b>    |          | <b>(10)</b>  | <b>(92)</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>               |          |              |              |
| სესხებიდან მიღებული ფული                                     | 25       | 10,585       | 13,028       |
| სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების დაფარვა                  |          | (11,045)     | (13,795)     |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>        |          | <b>(460)</b> | <b>(767)</b> |
| <b>ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ზრდა/(შემცირება)</b>    |          | <b>9</b>     | <b>30</b>    |
| უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე                                 |          | (14)         | (22)         |
| <b>ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში</b> |          | <b>10</b>    | <b>2</b>     |
| <b>ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს</b>      |          | <b>5</b>     | <b>10</b>    |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისი.

დირექტორი:  
 დავით გიგაია

ფინანსური მენეჯერი:  
 კოტე ღვინიაძე

შპს ოკეანე  
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

|                                                       | შენიშვნა | 2021 წელი | 2020 წელი |
|-------------------------------------------------------|----------|-----------|-----------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან              |          | 67        | (825)     |
| წლის მოგება/ზარალი                                    |          |           |           |
| კორექტირებები:                                        |          | 375       | 393       |
| ცვლილება ამორტიზაცია                                  |          | 16        | 97        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი        | 8        | (1)       | (34)      |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება   |          | 565       | 493       |
| ფინანსური ხარჯი                                       | 18       | (108)     | 406       |
| (მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან                |          | 914       | 530       |
| საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე    |          |           |           |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში      | 8        | (305)     | 454       |
| ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში               | 6        | 157       | 706       |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში     | 13       | 276       | (317)     |
| ფული საოპერაციო საქმიანობიდან                         |          | 1,042     | 1,373     |
| გადახდილი პროცენტი                                    |          | (563)     | (484)     |
| წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან                  |          | 479       | 889       |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან            |          |           |           |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                          |          | (14)      | (170)     |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული        |          | 4         | 78        |
| წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში    |          | (10)      | (92)      |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან               |          |           |           |
| სესხებიდან მიღებული ფული                              | 25       | 10,585    | 13,028    |
| სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების დაფარვა           |          | (11,045)  | (13,795)  |
| წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან        |          | (460)     | (767)     |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ზრდა/(შემცირება)    |          | 9         | 30        |
| უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე                          |          | (14)      | (22)      |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში |          | 10        | 2         |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს      |          | 5         | 10        |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისი.

დირექტორი:  
დავით გიგაია

ფინანსური მენეჯერი:  
კოტე ლეონიანიძე

## ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ოკეანე” (კომპანია) დაარსდა 2008 წლის ივნისში და დაარსების დღიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, ერთ-ერთ მსხვილ წარმოებად მოიაზრება. კომპანია მომხმარებელს თევზეულის ყველაზე მრავალფეროვან ასორტიმენტს სთავაზობს ქართულ ბაზარზე.

შპს “ოკეანე”-ს 100%-ის წილის მფლობელი არის საქართველოში დაფუძნებული და დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება ნიკორა.

შპს ოკეანეს რეგისტრირებული მისამართი არის ქავთარაძის ქუჩა 11, თბილისი, საქართველო.  
კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 69 თანამშრომელს (2020: 76).

### 2. შედგენის საფუძველი

#### 2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2019 წელს კომპანიამ მიიღო ახალი სახელმძღვანელო იჯარის აღიარების შესახებ (იხ. შენიშვნა 3.5). ახალი სტანდარტი გამოყენებულია რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თანახმადაც, აკუმულირებული ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებულია, როგორც კორექტირება აკუმულირებულ შედეგებზე. შესაბამისად, კომპანიას არ აქვს ვალდებულება წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობის სამი წლის შესადარისი ანგარიში.

#### 2.2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-3 შენიშვნაში.

#### 2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება შესაბამის სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით. საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის შედეგად წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც ნასესხებ სახსრებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს უკავშირდება წარდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი“. საკურსო სხვაობიდან მიღებული ყველა სხვა შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 2.4. შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 20-ე შენიშვნაში.

## 2.5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

### 2.5.1 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – ფაზა 2 შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების აღრიცხვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველებში, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხოვს ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველებში, IBOR რეფორმის შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში სახელმძღვანელოს გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ბაზის ექვივალენტურია. სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შეღავათს ფასს 9-დან, ასევე მოთხოვრებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჯარებს მოთხოვრებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.
- საბოლოო თარიღი ფაზა 1 შეღავათისთვის არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება: როდესაც ცვლილებები ხორციელდება შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.

დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: აღნიშნული შესწორება მოითხოვს ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

შესწორების გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა გამოყენების უფლების მქონე აქტივზე და არსებითი გავლენა არ მოახდინა საიჯარო ვალდებულებებზე და შემოსავლის ანგარიშგებაზე.

**კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16.** თავდაპირველი შესწორება ითვალისწინებდა შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეეძლოთ აესახათ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომლებიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებდა ყველა შემდეგი პირობა:

- ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე;

- საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენდა 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე, თუ არ იყო არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

2021 წლის მარტში საბჭომ გამოუშვა ცვლილება ფასს 16, რომელის მიხედვითაც ზემოთ განსაზღვრული თარიღი გაგრძელდა და შეიცვალა 2022 წლის 30 ივნისამდე. ჯგუფმა/კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება გამოშვების თარიღამდე ნაადრევად თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში.

## **2.5.2 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:**

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ზაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

**შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)** შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.
- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- სადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს სადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჟა და აღიაროს მოგება სადაზღვევის

ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.

- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებამ; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარე იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. 'დაფარვა' განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში

(გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შემდგომ შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ელიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემდგომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შემდგომ თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისი, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმდებარებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ

მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას.

**ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

**ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია).** სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შეღავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

#### 3.1. ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, წარმოდგენილია ქვემოთ.

#### 3.2. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

უცხოური ვალუტის ნაშთების კორექტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                            | დოლარი | ევრო   |
|----------------------------|--------|--------|
| 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0976 | 3.5040 |
| 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.2766 | 4.0233 |

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიწვია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით

## შპს ოკეანე

### ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

აღებული შენობები ასევე ჩაირთვება ძირითად საშუალებებში. ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერისგან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. კლიენტის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადახედვას ყოველი წლის ბოლოს. 2021 წლისთვის ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

|                                          | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|------------------------------------------|------------------------------|
| მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა       | 3-8                          |
| ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და დანადგარები | 2-5                          |
| სატრანსპორტო საშუალებები                 | 4-5                          |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა      | 5                            |

### 3.4. არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან ემატება სხვა აქტივის თვითღირებულებას წრფივი მეთოდით შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომლებიც განსაზღვრულია 10 წლით პროგრამების, უფლებებისა და სხვა აქტივებისთვის.

### 3.5. იჯარა

#### სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ, კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიხილება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისათვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა კომპანიას უფლება განსაზღვროს აქტივის გამოყენების წესი. განსაზღვროს აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მთლიანი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის წამოწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია აქტივებისთვის, გამოყენების უფლებით, იყენებს ცეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით. შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა პრაქტიკული ექსპედიციის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გაოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ვინაიდან საიჯარო ვალდებულება წარდგენილია ცალკე.

### **3.6. სასაქონლო მატერიალური მარაგები**

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

### **3.7. ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწრა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და ფასს 15-ის თანახმად აღიარებული არიან ტრანზაქციის ფასით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ითვალისწინებს ტრანზაქციის დანახარჯებსაც (სადაც გამოყენებადია).

## შპს ოკეანე

### ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).
- კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი საკითხის გათვალისწინების საფუძველზე:
- ფინანსური აქტივების მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებული ბიზნეს მოდელი
- ფინანსური აქტივიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლები

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა მოგება ან ზარალი, რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალში, ჩართულია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ პუნქტებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

### ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL).

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე ბირჟაზე დარეგისტრირებული ობლიგაციები, რომლებიც აქამდე დარეგისტრირებული იყო როგორც დაფარვის ვადამდე (HTM) ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "შეგროვების" ან "შეგროვების და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქმედი ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალს ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულია ამორტიზირებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ

## შპს ოკეანე

### ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)
- ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საფინანსო იჯარის ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, წმინდა გაცემის ღირებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

### 3.8. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

### 3.9. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

### 3.10. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ის კომპანიაზე ვრცელდება და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტიური, ისე პირობითი მოგების განაწილებას, მათ შორის შემდეგს:

- ✓ განაწილებული მოგება;
- ✓ გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ✓ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და/ან ფულადი სახსრების გადაცემა; და
- ✓ საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

განაწილებული მოგების გადასახადი აღიარდება, როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები

და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის გამოითვლება, როგორც თანხა, რომლის მიღებასაც მოელიან საგადასახადო უწყებები ან მოელიან მისთვის გადახდას.

გადასახადი, რომელიც დაეკისრება სფეროებს, გარდა განაწილებული მოგებისა, ზემოთ აღწერილის მსგავსად, აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯის“ მუხლში.

შეცვლილი საგადასახადო კონცეფციის გამო, ტერმინი „აქტივების და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა“ კარგავს მნიშვნელობას, ხოლო გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები (ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად) აღარ მოქმედებს ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელის ფარგლებში.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბასის საფუძველზე არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

### 3.11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

#### 4. ძირითადი საშუალებები

|                                     | მანქანა-<br>დანადგარები<br>და<br>აღჭურვი-<br>ლობა | ოფისის<br>აღჭურვილ<br>ობა, ავეჯი<br>და-<br>დანადგარე<br>ბი | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეტილმო-<br>წყობა | სატრანს-<br>პორტო<br>საშუალე-<br>ბები | სულ     |
|-------------------------------------|---------------------------------------------------|------------------------------------------------------------|---------------------------------------------------|---------------------------------------|---------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>         |                                                   |                                                            |                                                   |                                       |         |
| 01.01.2020                          | 2,331                                             | 102                                                        | 137                                               | 399                                   | 2,969   |
| შეძენა                              | 112                                               | 11                                                         | 12                                                | 35                                    | 170     |
| გასვლა                              | (94)                                              | -                                                          | -                                                 | (259)                                 | (353)   |
| 31.12.2020                          | 2,349                                             | 113                                                        | 149                                               | 175                                   | 2,786   |
| შეძენა                              | 36                                                | 2                                                          | -                                                 | -                                     | 38      |
| გასვლა                              | (4)                                               | (2)                                                        | -                                                 | (9)                                   | (15)    |
| 31.12.2021                          | 2,381                                             | 113                                                        | 149                                               | 166                                   | 2,809   |
| <b>ცვეთა:</b>                       |                                                   |                                                            |                                                   |                                       |         |
| 01.01.2020                          | (1,339)                                           | (69)                                                       | (57)                                              | (295)                                 | (1,760) |
| პერიოდის ცვეთა                      | (184)                                             | (9)                                                        | (21)                                              | (22)                                  | (236)   |
| გასულის პერიოდის ცვეთა              | 88                                                | -                                                          | -                                                 | 222                                   | 310     |
| 31.12.2020                          | (1,435)                                           | (78)                                                       | (78)                                              | (95)                                  | (1,686) |
| პერიოდის ცვეთა                      | (156)                                             | (7)                                                        | (11)                                              | (15)                                  | (189)   |
| გასულის პერიოდის ცვეთა              | 1                                                 | 1                                                          | -                                                 | 7                                     | 9       |
| 31.12.2021                          | (1,590)                                           | (84)                                                       | (89)                                              | (103)                                 | (1,866) |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება:</b> |                                                   |                                                            |                                                   |                                       |         |
| 01.01.2020                          | 992                                               | 33                                                         | 80                                                | 104                                   | 1,209   |
| 31.12.2020                          | 914                                               | 35                                                         | 71                                                | 80                                    | 1,100   |
| 31.12.2021                          | 791                                               | 29                                                         | 60                                                | 63                                    | 943     |

კომპანიის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 943 ლარი გამოყენებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სესხების უზრუნველყოფისთვის (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,015 ლარი).

ცვეთის ხარჯი დარიცხული იქნა შემდეგნაირად:

| ლარი                                               | 2021 წელი | 2020 წელი |
|----------------------------------------------------|-----------|-----------|
| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება (შენიშვნა 15) | (168)     | (207)     |
| ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 17)              | (21)      | (29)      |
|                                                    | (189)     | (236)     |

## 5. აქტივების გამოყენების უფლება

| ლარი                          | შენიშვნები   | სულ          |
|-------------------------------|--------------|--------------|
| <b>თვითღირებულება</b>         |              |              |
| 2020 წლის 1 იანვარი           | 543          | 543          |
| შემოსვლა                      | 228          | 228          |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>771</b>   | <b>771</b>   |
| შემოსვლა                      | 306          | 306          |
| შეწყვეტა                      | (228)        | (228)        |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>849</b>   | <b>849</b>   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>        |              |              |
| 2020 წლის 1 იანვარი           | (106)        | (106)        |
| წლის ცვეთა                    | (157)        | (157)        |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>(263)</b> | <b>(263)</b> |
| წლის ცვეთა                    | (185)        | (185)        |
| შეწყვეტა                      | 59           | 59           |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>(389)</b> | <b>(389)</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>   |              |              |
| 2020 წლის 1 იანვარი           | 437          | 437          |
| 2020 წლის 31 დეკემბერი        | 508          | 508          |
| 2021 წლის 31 დეკემბერი        | 460          | 460          |

98 ათას ლარის ამორტიზაციის ხარჯები დაერიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებს წრფივი მეთოდით (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 69) (იხ. შენიშვნა 17).

ამორტიზაციის ხარჯი, რომელიც შეადგენდა 87 ათას ლარს (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 87), დაერიცხა რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას (იხილეთ შენიშვნა 15).

## 6. არამატერიალური აქტივები

|                                     | პროგრამული<br>უზრუნველყოფა | სულ |
|-------------------------------------|----------------------------|-----|
| ისტორიული ღირებულება                |                            |     |
| 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    | 15                         | 15  |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 15                         | 15  |
| შემენა                              | 1                          | 1   |
| 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 16                         | 16  |
| ამორტიზაცია:                        |                            |     |
| 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    | (7)                        | (7) |
| პერიოდის ამორტიზაცია                | (1)                        | (1) |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (8)                        | (8) |
| პერიოდის ამორტიზაცია                | (1)                        | (1) |
| 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (9)                        | (9) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება:        |                            |     |
| 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    | 8                          | 8   |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 7                          | 7   |
| 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 7                          | 7   |

ამორტიზაციის ხარჯი დარიცხული იქნა ადმინისტრაციულ ხარჯებში. (იხ. შენიშვნა 17)

## 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

|                                       | 31 დეკემბერი,<br>2021 წ. | 31 დეკემბერი,<br>2020 წ. |
|---------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| საქონელი                              | 139                      | 146                      |
| დაუმთავრებელი წარმოება                | 91                       | 43                       |
| ნედლეული და სხვა მარაგები             | 1,313                    | 1,511                    |
| სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 1,543                    | 1,700                    |

2021 წლის განმავლობაში ხარჯად აღიარდა 7,795 ათასი ლარის მარაგების თვითღირებულება (2020: 7,947 ათასი ლარი) (იხ. შენიშვნა 15). კომპანიის მფლობელობაში არსებული მთლიანი მარაგები გამოყენებულია ბანკში კომპანიის სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 11).

## 8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

|                                            | 31 დეკემბერი,<br>2021 წ. | 31 დეკემბერი,<br>2020 წ. |
|--------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                         | 1,889                    | 1,783                    |
| საექვო ვალების რეზერვი                     | (110)                    | (97)                     |
| სხვა ავანსები                              | 284                      | 67                       |
| საექვო ვალების რეზერვი (ავანსები)          | (3)                      | -                        |
| სხვა მოთხოვნები                            | 5                        | 7                        |
| სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 2,065                    | 1,760                    |

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა:

|                                   | 2021<br>წლისათვის | 2020<br>წლისათვის |
|-----------------------------------|-------------------|-------------------|
| 1 იანვრის მდგომარეობით            | 97                | -                 |
| გამოყენება მიმდინარე პერიოდისთვის | 17                | 97                |
| რეზერვის შემცირება                | (4)               | -                 |
| 31 დეკემბრის მიხედვით             | 110               | 97                |

**შპს ოკეანე**  
**ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
**(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

საექვო ვალების რეზერვი (ავანსები) მოძრაობა:

|                                   | 2021<br>წლისათვის | 2020<br>წლისათვის |
|-----------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>1 იანვრის მდგომარეობით</b>     | -                 | -                 |
| გამოყენება მიმდინარე პერიოდისთვის | 3                 | -                 |
| <b>31 დეკემბრის მიხედვით</b>      | <b>3</b>          | -                 |

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. მოთხოვნების დაფარვის ვადა შეადგენს 30-90 დღეს (2020: 30-90 დღე). სავაჭრო მოთხოვნებზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (იხ. შენიშვნა 11) კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში შეფასებულ იქნა გაუფასურებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ შექმნა ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებსა და გადახდილ ავანსებზე, ვინაიდან იდენტიფიცირდა გაუფასურების მაჩვენებელი, რაც ექვს იწვევდა სავაჭრო მოთხოვნებისა და გადახდილი ავანსების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

## 9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

|                                                  | 31 დეკემბერი,<br>2021 წ. | 31 დეკემბერი,<br>2020 წ. |
|--------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| ნაღდი ფული                                       | 2                        | -                        |
| ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში          | 2                        | 9                        |
| ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში           | 1                        | 1                        |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b> | <b>5</b>                 | <b>10</b>                |

ფულადი სახსრების ყველა ანგარიში დენომინირებულია ლარში.

## 10. კაპიტალი და რეზერვები

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. არსებული წესდება სრულად გადახდილია. საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს აქციონერების გადაწყვეტილებით.

აქციონერთა საერთო კრებას უფლება აქვს განაცხადოს დივიდენდები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი იყო 307 ათასი ლარი.

## 11. სესხები

|                                                                        | 31.12.2021   | 31.12.2020   |
|------------------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| საბანკო სესხი ცვლადი პროცენტით                                         | 129          | 271          |
| არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან ფიქსირებული პროცენტით | -            | 550          |
| <b>სულ გრძელვადიანი სესხები</b>                                        | <b>129</b>   | <b>821</b>   |
| საბანკო სესხი ცვლადი პროცენტით                                         | 3,074        | 3,234        |
| არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან ფიქსირებული პროცენტით | 566          | 14           |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხები</b>                                        | <b>3,640</b> | <b>3,248</b> |
| <b>სულ სესხები</b>                                                     | <b>3,769</b> | <b>4,069</b> |

კომპანიას აქვს აღებული თიბისი ბანკისგან სესხები 1-5 წლამდე ლარში დენომინირებული (4%/4.5% + რეფინანსირების განაკვეთი), ევროში 6.5%+ 6 Month EURIBOR.

კომპანიას აქვს დაკავშირებულ მხარესგან მიღებული სესხი 14%.

კომპანიას საბანკო სესხები მიღებული აქვს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების პირობებში. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მარაგებით, მოთხოვნებით და მოძრავი ქონებით.

## 12. იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი         | 31-დეკ-2021  | 31-დეკ-2020  |
|--------------|--------------|--------------|
| მიმდინარე    | (194)        | (162)        |
| გრძელვადიანი | (283)        | (402)        |
|              | <b>(477)</b> | <b>(564)</b> |

კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორცაა საიჯარო გადასახადებები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობენ საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში. კომპანია ახდენს თავისი აქტივების გამოყენების უფლების კლასიფიკაციას ძირითადი საშუალებების მსგავსად. (იხ. შენიშვნა 5)

თითოეული იჯარა აწესებს ზოგად შეზღუდვას, რომ თუკი კომპანიას ხელშეკრულებით არ აქვს აქტივის ქვეიჯარით გაცემის უფლება, აქტივის გამოყენება შეუძლია მხოლოდ კომპანიას. იჯარა ან არაგაუქმებადია, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტის საფასურის გადახდის შემთხვევაში. ზოგიერთი იჯარა შეიცავს იჯარის ვადის გაგრძელების უფლებას.

მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

|                                     | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|-------------------------------------|------------------------|------------------------|
| ერთ წლამდე პერიოდში                 |                        |                        |
| საიჯარო გადახდები                   | 229                    | 211                    |
| ფინანსური ხარჯები                   | (35)                   | (53)                   |
|                                     | 194                    | 158                    |
| 2-5 წლამდე პერიოდში                 |                        |                        |
| საიჯარო გადახდები                   | 302                    | 456                    |
| ფინანსური ხარჯები                   | (18)                   | (50)                   |
|                                     | 284                    | 406                    |
| <b>წმინდა დღევანდელი ღირებულება</b> | <b>478</b>             | <b>564</b>             |

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვეანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

|                    | 31-დეკ-2021 | 31-დეკ-2020 |
|--------------------|-------------|-------------|
| მოკლევადიანი იჯარა | 10          | 53          |

დამატებითი ინფორმაცია აქტივების გამოყენების უფლების შესახებ იხილეთ შენიშვნა 5-ში.

## 13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

|                                                    | 31 დეკემბერი,<br>2021 წ. | 31 დეკემბერი,<br>2020 წ. |
|----------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                      | 721                      | 407                      |
| გადასახდელი ხელფასები                              | 38                       | 79                       |
| საგადასახადო ვალდებულებები                         | 95                       | 111                      |
| მიღებული ავანსები                                  | 1                        | -                        |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b> | <b>855</b>               | <b>597</b>               |

#### 14. ამონაგები

|                      | 31 დეკემბერი,<br>2021 წ. | 31 დეკემბერი,<br>2020 წ. |
|----------------------|--------------------------|--------------------------|
| საკვები              | 9,704                    | 9,454                    |
| არასაკვები           | 24                       | 7                        |
| <b>სულ ამონაგები</b> | <b>9,728</b>             | <b>9,461</b>             |

#### 15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

|                                                  | 2021 წლის 31<br>დეკემბერს<br>დასრულებული<br>წლისათვის | 2020 წლის 31<br>დეკემბერს<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|--------------------------------------------------|-------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| გამოყენებული პროდუქტი                            | (6,628)                                               | (6,788)                                               |
| თანამშრომელთა კომპენსაციის ხარჯი                 | (575)                                                 | (634)                                                 |
| ცვეთის ხარჯი                                     | (256)                                                 | (294)                                                 |
| კომუნალური ხარჯები                               | (234)                                                 | (144)                                                 |
| სხვა                                             | (102)                                                 | (87)                                                  |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>(7,795)</b>                                        | <b>(7,947)</b>                                        |

#### 16. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

|                                            | 2021 წლის 31<br>დეკემბერს<br>დასრულებული<br>წლისათვის | 2020 წლის 31<br>დეკემბერს<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|--------------------------------------------|-------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| თანამშრომელთა ხელფასი                      | (151)                                                 | (114)                                                 |
| დისტრიბუცია                                | (124)                                                 | (104)                                                 |
| <b>სულ გაყიდვების და მიწოდების ხარჯები</b> | <b>(275)</b>                                          | <b>(218)</b>                                          |

#### 17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

|                                            | 2021 წლის 31<br>დეკემბერს<br>დასრულებული<br>წლისათვის | 2020 წლის 31<br>დეკემბერს<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|--------------------------------------------|-------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| მარაგების ჩამოწერის ხარჯი                  | (468)                                                 | (425)                                                 |
| თანამშრომელთა ხელფასი                      | (345)                                                 | (407)                                                 |
| საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება    | (177)                                                 | (180)                                                 |
| ცვეთა და ამორტიზაცია                       | (119)                                                 | (99)                                                  |
| საოფისე ხარჯები                            | (14)                                                  | (12)                                                  |
| სხვა                                       | (54)                                                  | (114)                                                 |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი</b> | <b>(1,177)</b>                                        | <b>(1,237)</b>                                        |

## 18. ფინანსური ხარჯები

|                                                        | 2021 წლის 31<br>დეკემბრის<br>დასრულებული<br>წლისათვის | 2020 წლის 31<br>დეკემბრის<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|--------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან   | (440)                                                 | (344)                                                 |
| საპროცენტო ხარჯები სესხებზე დაკავშირებული მხარეებისგან | (72)                                                  | (69)                                                  |
| საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე                 | (53)                                                  | (68)                                                  |
| <b>სულ ფინანსური ხარჯი</b>                             | <b>(565)</b>                                          | <b>(481)</b>                                          |

## 19. შემდგომი მოვლენები

კომპანია აწარმოებს და მომხმარებელს სთავაზობს თევზეულის მრავალფეროვან ასორტიმენტს ქართულ ბაზარზე, რის გამოც, ხელმძღვანელობის აზრით, ბიზნეს სექტორში შეფერხებები მინიმალურია. ამ დრომდე ნედლეულის მიწოდება სათანადოა და მოთხოვნაც კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე სტაბილური.

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი არ ჰქონია.

## 20. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

### 20.1. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანიის შეფასებებს და დაშვებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროების მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობას შეფასებული აქვს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

## 21. ფინანსური ინსტრუმენტები

### 21.1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

### 21.2. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

**შპს ოკეანე**  
**ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
**(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

| ფინანსური აქტივები<br>ლარი                  | 31-დეკ-2021  | 31-დეკ-2020  |
|---------------------------------------------|--------------|--------------|
| ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით |              |              |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                  | 1,779        | 1,686        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                 | 3            | 10           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>               | <b>1,782</b> | <b>1,696</b> |

| ფინანსური ვალდებულებები<br>ლარი                  | 31-დეკ-2021  | 31-დეკ-2020  |
|--------------------------------------------------|--------------|--------------|
| ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით |              |              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                    | 721          | 407          |
| საიჯარო ვალდებულებები                            | 477          | 564          |
| სესხები                                          | 3,769        | 4,069        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>               | <b>4,967</b> | <b>5,040</b> |

## 22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

### ფინანსური რისკის ფაქტორები

#### ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

#### უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

| 2021 წლის 31 დეკემბერი             | აშშ დოლარი   | ევრო         |
|------------------------------------|--------------|--------------|
| ფინანსური აქტივები                 |              |              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 1            | -            |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>1</b>     | <b>-</b>     |
| ფინანსური ვალდებულებები            |              |              |
| სესხები                            | -            | 147          |
| საიჯარო ვალდებულებები              | 223          | -            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 69           | 128          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>292</b>   | <b>275</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>(291)</b> | <b>(275)</b> |

**შპს ოკეანე**

**ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>აშშ დოლარი</b> | <b>ევრო</b>  |
|-------------------------------|-------------------|--------------|
| ფინანსური აქტივები            |                   |              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები   | 1                 | -            |
| სულ ფინანსური აქტივები        | 1                 | -            |
| ფინანსური ვალდებულებები       |                   |              |
| სესხები                       | -                 | 292          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 4                 | 169          |
| სულ ფინანსური ვალდებულებები   | 4                 | 461          |
| <b>წმინდა პოზიცია</b>         | <b>(3)</b>        | <b>(461)</b> |

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

|                              | <b>31 დეკემბერი 2021 წ.</b>        |                                     | <b>31 დეკემბერი 2020 წ.</b>        |                                     |
|------------------------------|------------------------------------|-------------------------------------|------------------------------------|-------------------------------------|
|                              | <b>ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)</b> | <b>ზეგავლენა, საკუთარ კაპიტალზე</b> | <b>ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)</b> | <b>ზეგავლენა, საკუთარ კაპიტალზე</b> |
| აშშ დოლარის გამყარება 20%-ით | 58                                 | -                                   | 1                                  | -                                   |
| აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით | (58)                               | -                                   | (1)                                | -                                   |
| ევროს გამყარება 20%-ით       | 55                                 | -                                   | 92                                 | -                                   |
| ევროს დასუსტება 20%-ით       | (55)                               | -                                   | (92)                               | -                                   |

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

**ბ) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

|                                                                     | <b>31.12.2021</b> | <b>31.12.2020</b> |
|---------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</b>                       |                   |                   |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება                                      | 1,779             | 1,686             |
| <b>ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები</b>            |                   |                   |
| საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე                                         | 3                 | 10                |
| <b>სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი</b> | <b>1,782</b>      | <b>1,696</b>      |

**გ) ლიკვიდურობის რისკი**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

|                                         | <b>6 თვეზე ნაკლები</b> | <b>6 თვიდან 1 წლამდე</b> | <b>1 - 5 წლამდე</b> | <b>5 წელზე მეტი</b> | <b>სულ</b>   |
|-----------------------------------------|------------------------|--------------------------|---------------------|---------------------|--------------|
| <b>ვალდებულებები</b>                    |                        |                          |                     |                     |              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 721                    | -                        | -                   | -                   | 721          |
| საიჯარო ვალდებულება                     | 115                    | 115                      | 302                 | -                   | 532          |
| სესხები                                 | 2,847                  | 928                      | 137                 | -                   | 3,912        |
| <b>სულ მომავალში გადასახდელები</b>      | <b>3,683</b>           | <b>1,043</b>             | <b>439</b>          | <b>-</b>            | <b>5,165</b> |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

**შპს ოკეანე**  
**ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
**(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

|                                            | 6 თვეზე<br>ნაკლები | 6 თვიდან 1<br>წლამდე | 1 - 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ          |
|--------------------------------------------|--------------------|----------------------|--------------|--------------|--------------|
| <b>ვალდებულებები</b>                       |                    |                      |              |              |              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული<br>დავალიანება | 407                | -                    | -            | -            | 407          |
| საიჯარო ვალდებულება                        | 105                | 105                  | 456          | -            | 666          |
| სესხები                                    | 2,975              | 500                  | 903          | -            | 4,378        |
| <b>სულ მომავალში<br/>გადასახდებელი</b>     | <b>3,487</b>       | <b>605</b>           | <b>1,359</b> | <b>-</b>     | <b>5,451</b> |

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

## 23. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და დამფუძნებლებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალის, დაუფარავი ზარალისა და სესხებისაგან, რომლებიც წარდგენილია შენიშვნა 10-ში.

კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს თავისი კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს მაღალი ლევერიჯი. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მფლობელებს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

| ლარი                                           | 31-დეკ-2021  | 31-დეკ-2020  |
|------------------------------------------------|--------------|--------------|
| მთლიანი კაპიტალი                               | (78)         | (145)        |
| გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე | (5)          | (10)         |
| <b>კაპიტალი</b>                                | <b>(83)</b>  | <b>(155)</b> |
| მთლიანი კაპიტალი                               | (78)         | (145)        |
| სესხები                                        | 3,769        | 4,069        |
| საიჯარო ვალდებულებები                          | 477          | 564          |
| <b>სრული ფინანსირება</b>                       | <b>4,168</b> | <b>4,488</b> |
| კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან     | (0.02)       | (0.03)       |

## 24. გაუთვალისწინებელი გარემოებები

### 24.1. ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

### 24.2. დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს საქმიანობა და მესამე მხარის პასუხისმგებლობა საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებრივი და გარემოსგან მიყენებული ზიანისგან. ვიდრე კომპანია არ უზრუნველყოფს დაზღვევის შესაბამის დონეს რისკია, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

### 24.3. საგადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხოვნონ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

### 24.4. გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

## 25. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

|                                  | გრძელვადიანი<br>სესხები | მოკლევადიანი<br>სესხები | საიჯარო<br>ვალდებულებები | სულ          |
|----------------------------------|-------------------------|-------------------------|--------------------------|--------------|
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>781</b>              | <b>3,654</b>            | <b>699</b>               | <b>5,134</b> |
| ფულადი ნაკადების მოძრაობა        |                         |                         |                          |              |
| სესხის აღება                     | 200                     | 12,828                  | -                        | 13,028       |
| სესხის დაფარვა                   | -                       | (13,648)                | (146)                    | (13,794)     |
| გადახდილი პროცენტი               | -                       | (428)                   | (57)                     | (485)        |
| არაფულადი ნაკადების მოძრაობა     |                         |                         |                          |              |
| დარიცხული პროცენტი               | -                       | 424                     | 68                       | 492          |
| მოგება/ზარალი საკუროს სხვაობიდან | 42                      | 216                     | -                        | 258          |
| რეკლასიფიკაცია                   | (202)                   | 202                     | -                        | -            |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>821</b>              | <b>3,248</b>            | <b>564</b>               | <b>4,633</b> |
| ფულადი ნაკადების მოძრაობა        |                         |                         |                          |              |
| სესხის/იჯარის აღება              | -                       | 10,585                  | 306                      | 10,891       |
| სესხის დაფარვა                   | -                       | (10,862)                | (184)                    | (11,046)     |
| გადახდილი პროცენტი               | -                       | (510)                   | (53)                     | (563)        |
| არაფულადი ნაკადების მოძრაობა     |                         |                         |                          |              |
| დარიცხული პროცენტი               | -                       | 512                     | 53                       | 565          |
| მოგება/ზარალი საკუროს სხვაობიდან | (17)                    | (8)                     | (30)                     | (55)         |
| რეკლასიფიკაცია                   | (675)                   | 675                     | -                        | -            |
| იჯარის შეწყვეტა                  | -                       | -                       | (179)                    | (179)        |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>129</b>              | <b>3,640</b>            | <b>477</b>               | <b>4,246</b> |

## 26. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებლები, კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ და ძირითადი ხელმძღვანელობა.

## 27. საკონტროლო ურთიერთობები

შპს “ოკეანე”-ს 100%-ის წილის მფლობელი არის სააქართველოში დაფუძნებული და დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება ნიკორა.

### 27.1. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ბალანსები:

| ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარესთან              | 2021 წელი | 2020 წელი |
|--------------------------------------------------|-----------|-----------|
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან | -         | (34)      |
| მარაგების რეალიზაცია                             | 6,940     | 7,588     |
| მომსახურების გაწევა                              | 24        | 6         |
| საპროცენტო ხარჯის დარიცხვა                       | 72        | 69        |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე           | 35        | 46        |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა                   | (120)     | (108)     |
| პროცენტის გადახდა                                | (105)     | (114)     |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                   | -         | 5         |
| მომსახურების მიღება                              | 184       | -         |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება            | 252       | -         |
| მარაგების შესყიდვა                               | 259       | 221       |

**შპს ოკეანე****ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით****(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

| <b>ბალანსები დაკავშირებულ მხარესთან</b> | <b>31-დეკ-2021</b> | <b>31-დეკ-2020</b> |
|-----------------------------------------|--------------------|--------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 798                | 1,029              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები           | (167)              | (56)               |
| სესხები                                 | (566)              | (564)              |
| აქტივის გამოყენების უფლება              | 218                | 328                |
| საიჯარო ვალდებულებები                   | (255)              | (363)              |

**27.2. გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან**

წლის განმავლობაში ხელმძღვანელი პირის - დირექტორის ანაზღაურებამ შეადგინა ქვემოთ მოცემული ოდენობა:

| <b>ლარი</b>                    | <b>2021 წელი</b> | <b>2020 წელი</b> |
|--------------------------------|------------------|------------------|
| გაცემული ხელფასები და ბონუსები | 120              | 120              |